პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

12 თებერვალი პარასკევი 1971 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 36 (14946)

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და საგეგმო ორგანოების შექმნის 50 წლისთავი

არ შეიძლება მეურნეობის წარმართვა, თუ არ არის როგორც ხანგრძლივი, ისე მოკლე პერიოდისათვის გათვალისწინებული გეგმები.

ვ. ი. ლენინი.

დაგეგმვის ლენინური პრინციპები

ჩვენი ქვეყნის გეგმიანი მეურნეობის განვითარების ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის გამოცდილებამ თვალსაჩინოდ გვიჩვენა სოციალისტური დაგეგმვის უდიდესი შესაძლებლობანი და აშკარა უპირატესობანი. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ხელში სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმები წარმოადგენენ ამ უმნიშვნელოვანეს იარაღს, რომლის გამოყენებამ განაპირობა ეკონომიკისა და ტექნიკის არნახული ტემპებით განვითარება, ხალხის კეთილდღეობისა და კულტურის უმაგალითო ამაღლება. გეგმიანი ხელმძღვანელობით გადაწყდა ისეთი გიგანტური სამეურნეო ამოცანები, როგორიც არის თანამედროვე მძიმე ინდუსტრიის შექმნა და მის საფუძველზე სახალხო მეურნეობის ყველა დარგის რეკონსტრუქცია, უაღრესად ჩამორჩენილი წვრილსაქონლური სოფლის მეურნეობის გადაყვანა მსხვილი კოლექტიური მეურნეობის რელსებზე, მატერიალური და სულიერი დოვლათის მოხმარების დონის ამაღლება და სტრუქტურის გაუმჯობესება. საწარმოო ძალების გეგმაზომიერი განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის ზრდის მაღალი ტემპები მიღწეულ იქნა საბჭოთა საზოგადოების საწარმოო ურთიერთობათა მთელი ერთობლიობის გეგმიანი გარდაქმნისა და მეურნეობის სოციალისტური სისტემის განმტკიცების საფუძველზე.

ალნიშნულ პერიოდში მიღწეულ უდიდეს წარმატებებზე ნათლად მეტყველებს შემდეგი მონაცემები: 1969 წელს 1913 წელთან შედარებით საბჭოთა კავშირში ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი 38-ჯერ, ეროვნული შემოსავალი 43-ჯერ, მრეწველობის საერთო პროდუქცია 84-ჯერ, კაპიტალური დაბანდებანი 65-ჯერ, შრომის ნაყოფიერება — 17,3-ჯერ გაიზარდა. განსაკუთრებით სწრაფად იზრდებოდა ტექნიკური პროგრესით უზრუნველყოფილი დარგები. მაგალითად, იმავე პერიოდში ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის პროდუქციის წარმოება გადიდდა 417-ჯერ, მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავებისა — 754-ჯერ.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის ნათელ გამოხატულებას წარმოადგენს საბჭოთა ხელისუფლების არსებობის განვლილ პერიოდში ჩვენს რესპუბლიკაში მიღწეული შედეგები სამეურნეო ცხოვრებისა და კულტურის ყველა დარგში. საბჭოთა საქართველოს სახელოვანი იუბილეს 50 წლისთავის წინა — 1970 წლისათვის რესპუბლიკის სამრეწველო პროდუქცია 1913 წელთან შედარებით გადიდდა 80-ჯერ, რაც იმას ნიშნავს, რომ ახლა რესპუბლიკა 4-5 დღეში აწარმოებს იმდენ სამრეწველო პროდუქციას, რამდენსაც რევოლუციამდელი საქართველო აწარმოებდა მთელი წლის განმავლობაში. 1969 წელს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობამ ომამდელ დონეს გადააჭარბა 5,8-ჯერ, მათ შორის მემცენარეობის პროდუქციამ — 9-ჯერ.

ხელსაყრელი ბუნებრივი და ეკონომიური პირობების თავისებურებების გათვალისწინებით ჩამოყალიბდა და ვითარდება რესპუბლიკის მრეწველობის სპეციალიზაციის დარგები: მარგანეცის მოპოვება და გადამუშავება; თოჯის, ფოლადის, ნაგლინის, განსაკუთრებით ნავთობის სორტამენტის მილების წარმოება; სატვირთო ავტომანქანების და მისი სათადარიგო ნაწილების, ლითონსაჭრელი დაზგების, ვიბრაციული მანქანების და შემდეგუბელი აპარატების, სამგზისტარალო ელმავლებისა და სამთამადნო მოწყობილობის, კოშკურა ამწეებისა და ლითონკონსტრუქციების, კაპროლაქტამისა და სინთეზური ბოჭკოს, სხვადასხვა ხახის პირველადი დამუშავების ჩაის, მაღალხარისხოვანი სამარკო ღვინოებისა და კონიაკების, ხილბოსტნეულის, კონსერვების, მინერალური წყლების, ეთერზეთების და სხვ. წარმოება.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა, იყენებს რა არსებულ უნიკალურ ნიადაგობრივ-კლიმატურ პირობებს, შრომის საერთო საკავშირო დანაწილებაში ფართოდ მონაწილეობს ისეთი დიდმნიშვნელოვანი სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებით, როგორიც არის ჩაის ფოთოლი, ციტრუსები, ყურძენი, ხილი, ხარისხოვანი თამბაქო, ეთერზეთოვანი კულტურები და ა. შ.

მიზანშეწონილი სპეციალიზაციისა და კომპლექსური განვითარების პრინციპით სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ნახევარსაუკუნოვანმა გამოცდილებამ დაამტკიცა რესპუბლიკებსა და ეკონომიურ რაიონებს შორის შრომის გეგმიანი სოციალისტური განაწილების ურთიერთხელსაყრელობა და ეკონომიური ეფექტიანობა.

სოციალიზმის, როგორც კომუნისტური საზოგადოების პირველი ფაზის ფორმირებისა და განვითარების სხვადასხვა ეტაპების თავისებურებანი, ქვეყნის განვითარების შინაგანი და საგარეო მდგომარეობით განპირობებული სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანები განსაზღვრავდნენ სახალხო მეურნეობისადმი გეგმიანი ხელმძღვანელობის ფორმებისა და მეთოდების ცვლილებებს. ამ ცვლილებებს საფუძვლად ედო მთელი სახალხო მეურნეობისადმი ცენტრალიზებული გეგმიანი ხელმძღვანელობა, რომლის აუცილებლობა განსაზღვრავდა წარმოების სოციალისტური განსაზოგადოების დონის ამაღლებითა და მძლავრი ინდუსტრიის განვითარებით. ცენტრალიზებული დაგეგმვის ფუნქციები და მეთოდები იცვლებოდა საბჭოთა ეკონომიკის განვითარების ეტაპების მიხედვით, ომამდელი და ომისშემდგომი ხუთწლედების პერიოდში სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და განვითარების გიგანტური ამოცანების განხორციელება. ომისშემდგომი წლების სახალხო მეურნეობის აღდგენის უძნელესი და ურთულესი ამოცანების გადაჭრა აუცილებელს ხდიდა გეგმიან ხელმძღვანელობაში უპირატესობა ცენტრალიზმისათვის მიგვენიშნებინა, გამოგვეყენებინა პირდაპირი დირექტიული დაგეგმვის მეთოდი. დაგეგმვისა და მართვის ცენტრალიზაციამ საშუალება მისცა სოციალისტურ სახელმწიფოს შედარებით მოკლე დროში გადაეწყვიტა დიდი და რთული საზოგადოებრივ-ეკონომიური პრობლემები.

უკანასკნელ ხანებში სამეურნეო მშენებლობის პრაქტიკამ გამოავლინა დაგეგმვის სისტემის არსებითი ნაკლოვანებანი. მეტისმეტი რეგლამენტაცია და ნორმალმენ მეურვეობა ზღუდავდა საწარმოო კოლექტივების ინიციატივას, წარმოშობდა ხელმძღვანელობის კანცელარიულ-ბიუროკრატიულ მეთოდებს. სოციალისტური საზოგადოებრივი წარმოების განვითარებაში უზარმაზარი მასშტაბების მიღწევისა და მის სტრუქტურულ გართულებასთან ერთად უკვე ჩამოყალიბებული დაგეგმვის სისტემა ალარ შეეხაბამებოდა საწარმოო ძალების განვითარების ახალ დონეს, თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მოთხოვნებს და სახალხო მოხმარების შემდგომ სწრაფ ზრდას.

ამიტომ საწარმოო ძალების განვითარების მიღწეულმა დონემ და ახალი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის საჭიროებამ აუცილებელი გახადა დაგეგმვის ახალი ფორმებისა და მეთოდების, ეკონომიკისადმი გეგმიანი ხელმძღვანელობის ახალი მიდგომის შემუშავება, რომელიც ემყარება დაგეგმვისა და მართვის ეკონომიური მეთოდების გაფართოებასა და ცენტრალიზებული დაგეგმვის სრულყოფას. სამეურნეო რეფორმამ მოითხოვს სახელმწიფო დაგეგმვის დონის ყოველმხრივ ამაღლებას, დემოკრატიზმისა და ცენტრალიზმის ჰარმონიულ შეხამებას.

ცენტრალიზაციის გაუმჯობესებას გვიჩვენებს დარგობრივი სამინისტროების შექმნის გზით დარგობრივი დაგეგმვის გაძლიერება და ამავე დროს ტერიტორიული დაგეგმვის შენარჩუნება, ეკონომიური რაიონებისა და მოკავშირე რესპუბლიკების საგეგმო კომიტეტებისა და საგეგმო კომისიების როლის ამაღლება, ზემდგომი ორგანოების მიერ მხოლოდ უძირითადესი ეკონომიური მაჩვენებლების დაგეგმვა. დემოკრატიზმის განვითარება გამოიხატა შემდეგში: საწარმოთა უფლებების გაფართოება, ხელმძღვანელ ორგანოებში დასამტკიცებელი საგეგმო მაჩვენებლების რიცხვის შემცირება, წარმოების განვითარებით მუშაკთა პირადი მატერიალური დაინტერესების გაძლიერება, სამეურნეო ანგარიშის განმტკიცება, კრედიტის როლის ამაღლება და ა. შ. ამის შედეგად მნიშვნელოვნად გაფართოდა მოკავშირე რესპუბლიკების, სამინისტროების, უწყებების, ადგილობრივი ორგანოებისა და საწარმოების უფლებები წარმოებისადმი ხელმძღვანელობასა და დაგეგმვაში. ეკონომიური რეფორმა ერთმანეთთან ახამებს ერთიან სახელმწიფო დაგეგმვას და საწარმოთა სრულ სამეურნეო ანგარიშს, ცენტრალიზებულ დარგობრივ მართვას და ფართო ადგილობრივ ინიციატივას, ერთმმართველობის პრინციპისა და საწარმოთა კოლექტივების როლის ამაღლებას.

დაგეგმვის ახალი მეთოდების მეცნიერული საფუძვლები სოციალიზმის ეკონომიური კანონების სრული გამოყენებით განისაზღვრება. ამ კანონების გამოყენების მექანიზმი პირდაპირ და უშუალოდ დაკავშირებულია საზოგადოებრივი ინტერესების, სოციალისტურ საწარმოთა და თვითეული მუშაკის ეკონომიური ინტერესების სულ უფრო სწორ შეხამებასთან. რეფორმის პრინციპების გატარების შედეგად სახალხო მეურნეობის ყველა დარგში იქმნება სოციალისტური მეურნეობის განვითარების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ეკონომიური მექანიზმი. ეს მექანიზმი უზრუნველყოფს მეურნეობისადმი გეგმიან ხელმძღვანელობას შემდეგი მიმართულებით: ცენტრალიზებული სახელმწიფო დაგეგმვის სწორი შეხამება საწარმოთა ფართო სამეურნეო ინიციატივასა და წარმოების ეკონომიური სტიმულირების გაძლიერებასთან: საწარმოთა უფლებების გაფართოება სრული სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე; საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის შეფასება რეალიზებული პროდუქციის, მიღებული მოგების (წარმოების რენტაბელობის) და პროდუქციის უმნიშვნელოვანეს სახეობათა წარმოების დავალების შესრულების მიხედვით; წარმოების მუშაკთა შრომის ანაზღაურება არა მარტო მათი ინდივიდუალური შრომის ფაოდენობისა და ხარისხის გათვალისწინებით, არამედ საწარმოს მუშაობის საერთო შედეგების მიხედვითაც. საწარმოთა შორის ეკონომიური ურთიერთობის აგება მატერიალური პასუხისმგებლობის პრინციპზე, საწარმოებს შორის მუდმივი პირდაპირი კავშირების უოველმხრივი განვითარება, სამეურნეო ხელშეკრულებების როლის ამაღლება.

ახალი სისტემა საწარმოთა კოლექტივებს პირობებს უქმნის და ინტერესს უღვიძებს აიღონ მაღალი საგეგმო დავალებანი, სრულად გამოიყენონ საწარმოო ფონდები, სამუშაო ძალა, მატერიალური და ფინანსური რესურსები. რეფორმა სტიმულს უქმნის წარმოების ტექნიკის სრულყოფას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას და ყოველივე ამის შედეგად საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას.

დაგეგმვის სისტემის სრულყოფა სამეურნეო რეფორმის განხორციელების პროცესში დაგეგმვის მეცნიერების წინაშე მთელ რიგ მეთოდოლოგიური ხასიათის პრობლემებს აყენებს, რომელთა შორის უმთავრესია ოპტიმალური ტემპებისა და პროპორციების დასაბუთება გენერალურ პერსპექტივაზე და მიმდინარე ხუთწლედში (1971-1975 წ.წ.). ამისათვის აუცილებელია გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოების ტენდენციების ღრმა ეკონომიური ანალიზი, ტენდენციებისა, რომლებიც აღმოცენდებიან

(დასასრული მე-2 გვ.).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის გამოსვლა

ზღვებისა და ოკეანეების ფსკერზე და მის წიაღში ატომური იარაღისა და სხვა სახეობათა მასობრივი მოსპობის იარაღის განლაგების აკრძალვის ხელშეკრულების ხელმოწერის დროს

ამხანაგებო,

ბატონებო,

ნება მიბოძეთ საბჭოთა მთავრობის სახელით კმაყოფილება გამოვთქვა იმის გამო, რომ დღეს იწყება ზღვებისა და ოკეანეების ფსკერზე და მის წიაღში ატომური იარაღისა და სხვა სახეობათა მასობრივი მოსპობის იარაღის განლაგების აკრძალვის ხელშეკრულების ხელმოწერა. ეს დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტი მოიწონა გაერთიანებულ ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეის XXV სესიამ. ზღვის ფსკერის შესახებ ხელშეკრულების დადება, უეჭველია, საერთაშორისო ცხოვრების დადებითი აქტი იქნება.

სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა საშუალება მისცა ადამიანს დაეწყო ახალი, ცოტა ხნის წინათ მისთვის მიუწვდომელი პლანეტის ნაწილის — ზღვებისა და ოკეანეების ფსკერის ათვისება. მაგრამ ამასთანავე შეიქმნა ატომური და სხვა მასობრივი მოსპობის იარაღის იქ განლაგების შესაძლებლობანი. ცხადია, რომ ზღვის ფსკერის ასეთი გამოყენება გააფართოებდა გამალებული შეიარაღების მასშტაბს. ასეთი განვითარება დროზე უნდა აღიკვეთოს. როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, გაცილებით ძნელია გამალებული შეიარაღების შეჩერება იქ, სადაც უკვე წარმოებს. ვიდრე ის, რომ არ დაეშვას მისი დაწყება ახალ არეებში.

ხელშეკრულება, რომელსაც დღეს ვაწერთ ხელს, მოწოდებულია აღკვეთოს ზღვის ფსკერზე ყველაზე საშიშ სახეობათა იარაღის განლაგება. ამასთანავე ხელშეკრულება ითვალისწინებს გაგრძელდეს მოლაპარაკება შემდგომ ღონისძიებათა შესახებ ზღვებისა და ოკეანეების ფსკერზე სხვა სახეობათა გამალებული შეიარაღების თავიდან ასაცილებლად. საბჭოთა მთავრობა ითვალისწინებს, რომ ხელშეკრულება პირველი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია ზღვის ფსკერის სრული დემილიტარიზაციის გზაზე და, თავის მხრივ, მზად არის ყველაფერი იღონოს ამ ამოცანის განსახორციელებლად.

ხელშეკრულება ზღვის ფსკერის შესახებ, რომელიც შეზღუდავს აკისრებს ეუნიპარეს ყოველსა ატომურ სახელმწიფოებს, გამომდინარობს ყველა ქვეყნისა და ხალხის უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესებიდან. ამიტომ იგი ხელს შეუწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებასა და სახელმწიფოთა ურთიერთობის გაუმჯობესებას. ხელშეკრულება ხელს შეუწყობს აგრეთვე საუკეთესო წინამძღვრების შექმნას ზღვის ფსკერის მშვიდობიანი გამოყენებისათვის, მის სამდიდრეთა ათვისებისათვის.

ხელშეკრულება ზღვის ფსკერის შესახებ კიდევ ერთი ნაწილობრივი ღონისძიებაა, რომელიც გენიარალების პრობლემას ეხება. საბჭოთა კავშირი სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად მტკიცედ იბრძვის ვამალებული შეიარაღების წინააღმდეგ, ატომური, ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის აკრძალვისათვის, უცხოეთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაციისათვის, ბენიარალების სხვა საკითხების გადაჭრისათვის. როგორც არაერთხელ განგვიცხადებია, ჩვენ მივესალმებთ შეთანხმებას სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის დარგში.

ზღვის ფსკერის შესახებ ხელშეკრულების, ისევე როგორც სხვა საერთაშორისო შეთანხმებების დადება, რომლებიც მიზნად ისახავენ გამალებული შეიარაღების შეზღუდვას, როგორიც არის, მაგალითად, ატომური იარაღის გამოცდის ნაწილობრივ შეწყვეტის ხელშეკრულება, ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულება, რა თქმა უნდა, ითვლება ოდა იყო. ამ ხელშეკრულებათა შემუშავების დროს, ბუნებრივია, იყო სიძნელეები, უთანხმოებანი მოლაპარაკების მონაწილეთა პოზიციებში. მაგრამ, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, შეთანხმების მიღწევის გზა შეიძლება გამოიძებნოს. რაც შეეხება საბჭოთა მთავრობას, იგი ყოველთვის არ დაიშურებს ძალღონეს გამალებული შეიარაღების შეწყვეტასთან და განიარაღებასთან დაკავშირებული გადაუდებელი საკითხების გადაჭრის გამოსაძებნად.

რა თქმა უნდა, ისეთი აქტები, როგორიც ეს ხელშეკრულებაა, შეიძლება საკმაოდ ემსახურებოდეს მშვიდობას, თუ სახელმწიფოთა პრაქტიკულ საქმიანობას საგარეო პოლიტიკის დარგში განსაზღვრავენ მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების მიზნები და არა საერთაშორისო დაძაბულობისა და აგრესიის გაძლიერების მიზნები.

დასასრულ ნება მიბოძეთ გამოვთქვა იმედი, რომ ზღვებისა და ოკეანეების ფსკერზე და მის წიაღში ატომური იარაღისა და სხვა სახეობათა მასობრივი მოსპობის იარაღის განლაგების აკრძალვის ხელშეკრულებას ხელს მოაწერს და დამტკიცებს სახელმწიფოთა უფროსთაესი წრე და რომ იგი ძალაში შევა უახლოეს ხანში.

საბჭოთა კავშირი ხელს აწერს ამ ხელშეკრულებას, რადგან იგი შეესაბამება ჩვენი სახელმწიფოს ლენინური საგარეო პოლიტიკის უცვლელ მიზანს — ხალხთა მშვიდობის განმტკიცებასა და უშიშროების უზრუნველყოფას.

მოსკოვი. 11 თებერვალი. ზღვებისა და ოკეანეების ფსკერზე და მის წიაღში ატომური იარაღისა და სხვა სახეობათა მასობრივი მოსპობის იარაღის განლაგების აკრძალვის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერა დეპოზიტარი სახელმწიფოების მიერ.

სურათზე: ხელშეკრულებას ხელს აწერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო. მარცხნივ — დიდი ბრიტანეთის ელჩი სსრ კავშირში სერ დ. ვილსონი, მარჯვნივ — ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი სსრ კავშირში ჯ. ბიმი.

საკვლევი (მიღებულია საქმესის ფოტოტელეგრაფით).

ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას

ბაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXV სესიამ 1970 წლის 7 დეკემბერს მოიწონა ხელშეკრულება ზღვებისა და ოკეანეების ფსკერზე და მის წიაღში ატომური იარაღისა და სხვა სახეობათა მასობრივი მოსპობის იარაღის განლაგების აკრძალვის შესახებ. ხელშეკრულებით გათვალისწინებულია, რომ დეპოზიტარი ქვეყნები იქნებიან საბჭოთა კავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი.

ამის შესაბამისად 11 თებერვალს გაიმართა ხელშეკრულების ხელმოწერა.

მოსკოვში ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ხელშეკრულების დეპოზიტარი სამი სახელმწიფოს წარმომადგენლებმა: საბჭოთა კავშირის სახელით — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, დიდი ბრიტანეთის სახელით — დიდი ბრიტანეთის ელჩმა საბჭოთა კავშირში სერ დენკენ ა. ვილსონმა, ამერიკის შეერთებული შტატების სახელით — ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საბჭოთა კავშირში ჯეკობ დ. ბიმმა.

ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი.

თავიანთ სახელმწიფოთა სახელით ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს აგრეთვე პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა სტეფან ჟენდრიხოვსკიმ, ფინეთის ელჩმა ბიერნ-ოლაფ გეორგ ალკიერმამ, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა იან მარაშმ, კანადის ელჩმა რობერტ ა. დ. ფორდმ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ოტო ვინცერმა, იორდანიის ჰაშემიტის სამეფოს ელჩმა ჰასან ა. იბრაჰიმმა, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ივან ბაშევმა, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა იანოშ პეტერმა, ლიბანის რესპუბლიკის ელჩმა ნაიმ ამინენმ, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა პორნელიუ მანესკუმ, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დუგერსურენგინენ მრდუმბაგმა, ვენეციის რესპუბლიკის ელჩმა იორო დეკრამ, ისლანდიის ელჩმა პდურ გუდიონსონმა და სხვებმა — სულ 40 სახელმწიფოს წარმომადგენლებმა.

ხელშეკრულების ხელმოწერას დაესწრნენ: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლ. ვ. სმირნოვი და სხვა ოფიციალური პირნი. (საკვლევი).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

№ 7 ტრესტ „საქშახტმშენის“ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ტრესტის კოლექტივის მიერ ხუთწლიანი გეგმის დავალებათა ვადამდე შესრულებისა და სამთამადნო და ქვანახშირის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობაში მიღწეული წარმატებებისათვის ტრესტი „საქშახტმშენი“ დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კრებზიდიუმის საქატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

დაგეგმვის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, სახელმწიფო საგეგმო ორგანოების შექმნის ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქატიო სიგელით:

1. ავეტისოვი ერვანდ ქრისტეფორეს-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ქვეგანყოფილების უფროსი.
2. ალანია ეკატერინე ვლადიმერის ასული — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსი.
3. არჩვაძე შალვა რომანის-ძე — სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში.
4. ახვლედიანი აკაკი სემენარის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსი.
5. ბალაფერია შოთა ივანეს-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის უფროსი ეკონომისტი.
6. ბეჟანიშვილი ვლადიმერ ივანეს-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსი.
7. ბერიძე მარიამ ბესარიონის ასული — წყალტუბოს რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიის თავმჯდომარე.
8. ბრიანსკაია ლუბა დავითის ასული — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსი.
9. ბურდული ილია გაბრიელის-ძე — გამთვლელთა ცენტრის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში.
10. ბრელიძე ტატიანა ივანეს ასული — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის კანცელარიის გამგე.
11. გაგოშიძე გივი ფილიპეს-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მთავარი სპეციალისტი.
12. გიოტოვი ვლადიმერ ვლადიმერის-ძე— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის უფროსი ინჟინერ-ეკონომისტი.
13. გოგიბერიძე სარდიონ სილოვანის-ძე— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის უფროსი ეკონომისტი.
14. გეგელია მარიამ სპირიდონის ასული—ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიის უფროსი ეკონომისტი.
15. გუგუშვილი შურა ბესარიონის ასული — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის უფროსი ეკონომისტი.
16. დათუკიშვილი შალვა პართენის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის უფროსი ეკონომისტი.
17. დვალიშვილი ნიდეიდა დომენტის ასული — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსი.
18. ელიავა ელისაბედ ნიკოლოზის ასული — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის უფროსი ეკონომისტი.
19. ეფრემოვი იური სერგოს-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსი.
20. ზაგაროვაკი ედუარდ ანტონის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მთავარი სპეციალისტი.
21. ზოსელი როზა სამოელის ასული — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის უფროსი ეკონომისტი.
22. თავბერიძე გურამ აბესალომის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსის მოადგილე.
23. იობიძე ნათელა ილარიონის ასული — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ინსპექტორი.
24. კაკაურიძე ოთარ გრიგოლის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსის მოადგილე.

(დასასრული მე-2 გვ.).

გორის გენერალური გეგმა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა გორის გენერალური გეგმა. იგი გათვალისწინებულია 2000 წლამდე. ამ დროისათვის, პროგნოზების მიხედვით, გორში იქნება 100 ათასი მცხოვრები.

ქალაქის არქიტექტურულ-გეგმური გადაწყვეტის ძირითადი იდეა ციხის ნანგრევებიანი ბორცვი, რომელიც ქართლის ველს გადაჰყურებს, და სტალინის სახელობის პროსპექტის ფართო ზოლი. პროსპექტი მთავრდება მწვანე მასივით და ისტორიული სახლით, სადაც დაიბადა და ბავშვობა გაატარა ი. ბ. სტალინმა. ვაგზლისპირა მოედანზე დაპროექტებულია რკინიგზის ვაგზლისა და ავტოვაგზლის კომბინირებული შენობის აგება, რომელიც უშუალოდ ქალაქში გავა.

ძველ ქალაქს მდინარე ლიახვის მარჯვენა სანაპირზე ახალ ინდუსტრიულ რაიონთან კომპოზიციურად დაკავშირებს ჭავჭავაძის ქუჩა. ამ რაიონის ცენტრი კი მშვიდობის მოედანი იქნება.

მთელი ქალაქის საზოგადოებრივი ცენტრი გახდება სტალინის სახელობის პროსპექტი, რომელზეც აშენდება საზოგადოებრივი ნაგებობანი და 5-სართულიანი საცხოვრებელი სახლები მაღაზიებითურთ. ქალაქის ანსამბლის არქიტექტურულ გადაწყვეტაში განსაკუთრებულ ადგილს, ისევე როგორც ახლა, დაიკავებს გორის ციხე და ლიახვისპირა ასწლოვანი ხეების პარკი. ლიახვის მერჩე ნაპირზე გათვალისწინებულია რაიონული პარკის გაშენება.

გენერალური გეგმით შენარჩუნებულია ისტორიული განაშენიანების კოლორიტი და მასშტაბი. რაიონის სეისმურობის გამო აშენდება 3-5-სართულიანი სახლები. როგორც გამონაკლისი ხუთსართულიანზე მაღალი სახლები მხოლოდ კოშკების სახით აშენდება.

იმ უბნებიდან, სადაც ციხის ზონას ეკრძალა. შენარჩუნებული იქნება ძველი გორისათვის დამახასიათებელი რამდენიმე არქიტექტურული ნაგებობა. აქვე დასახულია აშენდეს ძველი ტიპის საცხოვრებელი სახლები — დარბაზი და ბანიანი სახლი, ქუჩაში გამოფენილი იქნება გორის რაიონის ქვის არქიტექტურის ფრაგმენტები და ძველების ქანდაკებათა ნიმუშები.

ბორცვის აღმოსავლეთ ფერდობზე ნაგარაუდევია სახალხო დღესასწაულობებისათვის აიგოს ღია ესტრადა — ამფითეატრი.

გენერალური გეგმით გათვალისწინებულია ქალაქში შეიქმნას საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილიალი აქ არსებული დაუსწრებელი ფაკულტეტის ბაზაზე, დიდი საავადმყოფოების უბანი, ღია და დახურული საცურაო აუზები, დახურული სპორტული ასპარეზი, ხელოვნური ტბა, კულტურის სასახლე, ცენტრალური ბიბლიოთეკა, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, საგამოფენო დარბაზი, სასტუმრო და სხვ.

ძირითადი ტრანსპორტი იქნება ავტობუსი. გარდა ამისა ქალაქში გაივლის ორი სატროლეიბუსო ხაზი. საჰაერო-სადგურთან ჯზა არსებულ პარკს შეაერთებს კულტურისა და დასვენების პარკთან, რომელიც თრიალეთის პლატოზე გაშენდება.

გენერალური გეგმის მთავარი არქიტექტორი და პროექტის ავტორია ლ. სუმბაძე, თანაავტორი — გ. გიგოლაშვილი. (საკვლევი).

დაგეგმვის ლენინური პრინციპები

(დასასრული).

ტექნიკური პროგრესისა და საზოგადოებრივი მოთხოვნილებების მასშტაბებსა და სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებების საფუძველზე.

პერსპექტიული გეგმის შედგენის ამოსავალი პუნქტია ახალი ტექნიკის განვითარებისა და დანერგვის მეცნიერული პროგნოზირება, სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნების ცვალებადობის დასაბუთება. თავის მხრივ, ამ ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტა უშუალოდ დაკავშირებულია საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიური ეფექტიანობის ამაღლების გზებისა და მეთოდების გამოვლინებასთან, პირველ რიგში საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდისა და საზოგადოებრივი წარმოების ფონდტევადობის შემცირების შესაძლებლობებთან.

დაგეგმვის სრულყოფისა და მისი მეცნიერული დონის შემდგომი ამაღლების ამოცანების გადაწყვეტაში დიდი მნიშვნელობა აქვს იმ შესაძლებლობათა გამოყენებას, რასაც იძლევა ეკონომიურ-მათემატიკური მეთოდები და თანამედროვე საგზაო-გამომთვლელი ტექნიკა. დაგეგმვის მეცნიერული დონის ამაღლება მოითხოვს სახალხო მეურნეობის, მისი მთავარი დარგების, ეკონომიური რაიონების, საწარმოების განვითარების გეგმების შემდგომ ოპტიმიზაციას. დაგეგმვის მიზანია მოცემულ კონკრეტულ პირობებში უმცირესი დანახარჯებით უდიდესი ეკონომიური ეფექტის მიღწევა. სწორედ ეს განსაზღვრავს განვითარების ტემპებისა და პროპორციების პრობლემების გადაწყვეტას, ახალი ტექნიკის დანერგვის ეფექტიან გზებს, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის სწრაფ ზრდას.

სახალხო-სამეურნეო ოპტიმუმი სოციალისტური გეგმიანი მეურნეობის კატეგორიაა. ის უშუალოდ დაკავშირებულია ეკონომიური განვითარების გეგმაზომიერებასა და პროპორციულობასთან. აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ, როცა დაგეგმვის ოპტიმიზაციაზე ვლაპარაკობთ, საჭიროა ყოველთვის მხედველობაში გვქონდეს კონკრეტული ისტორიულ-ეკონომიური პირობები, ვინაიდან გეგმის შესრულებაში უდიდეს ეკონომიურ ეფექტს შეიძლება მივაღწიოთ მხოლოდ ეკონომიკის განვითარების მოცემული ეტაპის ობიექტური პირობების სრული და ყოველმხრივი გათვალისწინებით, ამასთან მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ თვით ეს პირობებიც გეგმაზომიერად მუდმივად იცვლება.

თანამედროვე პირობებში, როცა წყდება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის ამოცანები, არა მარტო მნიშვნელოვნად იზრდება მოთხოვნა გეგმების მეცნიერულ დასაბუთებულობისადმი, არამედ წარმოიშობა ოპტიმალური დაგეგმვის ახალი შესაძლებლობებიც.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და მასთან დაკავშირებული დიდი ძვრები საზოგადოებრივი წარმოების სტრუქტურაში განაპირობებენ ეკონომიური განვითარების ინტენსიური ფაქტორების უპირატესად გამოყენებას. ამ პირობებში გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოების განმსაზღვრელ ფაქტორებად გვევლინებიან საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების სწრაფი ზრდა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლება. ამის შედეგად დიდდება სახალხო-სამეურნეო რესურსების და საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად მათი გამოყენების შესაძლებლობანი. ეს კი ამაღლებს გეგმის ოპტიმალური ვარიანტის შემუშავებისა და შერჩევის მნიშვნელობას.

თანამედროვე პირობებში დაგეგმვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს საწარმოო ფონდების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება, რამაც თავისი გამოხატულება უნდა ჰპოვოს საზოგადოებრივი წარმოების განვითარების პროგრესული ტენდენციების გათვალისწინებით, რაც უშუალოდ დაკავშირებულია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების რეალიზაციასა და საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდასთან.

საწარმოო ძალების განვითარების თანამედროვე პირობებში ახლებურად დგას ქვეყნის შრომითი რესურსების ეფექტიანად გამოყენების პრობლემა, რომელიც დაგეგმვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ობიექტია. ამ პრობლემის მთავარი საკითხებია: ტექნიკური პროგრესის შედეგად გამოთავისუფლებულ მუშაკთა გეგმაზომიერი გამოყენება სახალხო მეურნეობაში; მატერიალური წარმოებისა და არასაწარმოო სფეროში დასაქმებული მუშახელის რაოდენობის ოპტიმალური თანაფარდობა; მოსახლეობის ზრდისა და საზოგადოებრივ წარმოებაში ახალგაზრდა სამუშაო სტრუქტურის ცვლილების ნიადაგზე წარმოშობილი ახალი შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენება.

ოპტიმალური დაგეგმვის უმნიშვნელოვანესი მომენტია ბუნებრივი სიმდიდრეების, პირველ რიგში, მიწის სავარგულების, სასარგებლო წიაღისეულის, ენერგეტიკული რესურსების ეფექტიანი გამოყენება. საწარმოო ძალების რაციონალური გადაადგილება მოითხოვს რაგვარობის დაცვას ქვეყნის სხვადასხვა რაიონის ბუნებრივ სიმდიდრეთა ათვისებაში. დროის მოგების მიზნით პირველ რიგში უნდა გამოვიყენოთ სწრაფად ასათვისებელი და მეტი სახალხო ეფექტიანობის მომცემი ბუნებრივი რესურსები.

სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების შემუშავებისას წარმოიჭრება საზოგადოებრივი წარმოების დონისა და ეკონომიური განვითარების ტემპების თანაფარდობის პრობლემა. სოციალისტური წარმოების განვითარების მყარი და სწრაფი ტემპების შედეგად სახალხო მეურნეობა მოკლე დროში უდიდეს მასშტაბებს აღწევს, ამასთან საჭიროა მხედველობაში მივიღოთ, რომ ეკონომიური განვითარების ტემპი უშუალოდ დაკავშირებულია სტრუქტურულ ძვრებთან, კვლავწარმოების პროცესში პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასა და ახალი ნაწარმის ათვისებასთან. ტემპებისა და პროპორციების ოპტიმუმი ყოველთვის ეკონომიკის განვითარების გარკვეული პერიოდის კონკრეტული პირობებით განსაზღვრება. ამიტომ აქ არ შეიძლება გვქონდეს ყველა პერიოდისათვის მისაღები წინასწარ მოცემული თანაფარდობანი. მაგრამ ამავე დროს კონკრეტული გაანგარიშებანი აუცილებლად უნდა ემყარებოდეს იმ კანონზომიერი ტენდენციების მეცნიერულ ანალიზს, რომლებიც თანამედროვე ტექნიკური პროგრესით, საწარმოო და პირადი მოხმარების ცვლილებადობით განისაზღვრება.

დაგეგმვა მოითხოვს საგეგმო გადაწყვეტილებათა ეფექტიანობის შეხამებას უახლოესი დროისა და ხანგრძლივი პერიოდისათვის. სწორედ პერსპექტიულ გეგმებში შეიძლება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, წარმოების სტრუქტურის ცვლილების, ხალხის კეთილდღეობის დონის ამაღლების დიდი ამოცანების ყველაზე ეფექტიანი გადაწყვეტა. ამასთან პერსპექტიული გეგმების ოპტიმუმი, რომელიც პირველ რიგში განსაზღვრება საწარმოო დაგროვების ფონდის ოდენობითა და სტრუქტურით, მოხმარების ფონდის იმავდროული გადიდების პირობებში, ემყარება მიმდინარე გეგმების უახლოესი ამოცანების გადაწყვეტას. საგეგმო სისტემის ყველა რგოლში ძირითად ფორმას წარმოადგენს ხუთწლიანი გეგმა. ხუთწლიანი გეგმები დაფუძნებულია ხანგრძლივ პერსპექტივაში ეკონომიკისა და ტექნიკის განვითარების ყველაზე ეფექტიანი მიმართულების მეცნიერულ პროგნოზებსა და გენერალურ გეგმებზე.

სახალხო მეურნეობის გეგმების შედგენის მეცნიერული მეთოდოლოგიის განვითარება და დაგეგმვის თეორიის ერთი სახეობიდან მეორეზე გადაქცევის ახალ შესაძლებლობებს იძლევა დაგეგმვაში მათემატიკის, ეკონომეტრიკისა, ამოცანათა ტექნიკის გამოყენება. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ნაბიჯების გადადგმული ჩვენს რესპუბლიკაშიც.

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ამ რამდენიმე წლის წინათ ჩამოყალიბებულ ინსტიტუტში შექმნილია განყოფილება და ლაბორატორიები, რომლებიც ინტენსიურ მუშაობას ეწევიან ეკონომიურ ანალიზსა და დაგეგმვაში მათემატიკური მეთოდების დანერგვისათვის. აქ მუშავდება დინამიკური დარგთაშორისი ბალანსების სქემები, დარგების ოპტიმალური განლაგების პრობლემები, აგრეთვე ცალეულ ტიპიურ საწარმოთა მატრიცული დაგეგმვის მოდელები.

სახალხო მეურნეობის დაგეგმვის პრაქტიკაში მათემატიკური მეთოდებისა და გამოთვლითი ტექნიკის ფართოდ დანერგვის მიზნით რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ჩამოყალიბდა გამოთვლითი ცენტრი.

საგეგმო კომიტეტის განყოფილებები, მისი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი და გამოთვლითი ცენტრი ერთობლივი ძალებით მუშაობენ საგეგმო განგაიერიშებათა ავტომატიზებული სისტემის შექმნისათვის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საბჭოთა დაგეგმვა, იყენებდა რა არსებულ შესაძლებლობებს, ამა თუ იმ ზომით ყოველთვის წყვეტდა მოცემული კონკრეტული ისტორიული პირობებისათვის სახალხო მეურნეობის გეგმის საუკეთესო, ე. ი. ოპტიმალური ვარიანტის ძიების ამოცანას. მაგრამ ამჟამად წარმოების განვითარების უდიდესი დონისა და უზარმაზარი მასშტაბების პირობებში, სოციალისტური ეკონომიკის გეგმიანი განვითარების ოპტიმალური გზების ძიებისას ახალი, უფრო რთული ამოცანები წამოიჭრება, რომელთა გადაწყვეტისათვის აუცილებელია ეკონომიურ-მათემატიკური მეთოდებისა და თანამედროვე საანგარიშო-გამოთვლითი ტექნიკის შემდგომი განვითარება, დაგეგმვის პრაქტიკაში მათი რაც შეიძლება ფართოდ დანერგვა.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

(დასასრული)

25. **კუპრაძე** ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსი.

26. **კურაპოვა** თამარ ივანეს ასული — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მემანქანე.

27. **კუჭუაშვილი** ევგენია ზაქარიას ასული — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის უფროსი ეკონომისტი.

28. **ლიპარტელიანი-ზარიძე** თამარ თეიმურაზის ასული — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მემანქანე.

29. **ლოლაძე** გიორგი ნიკოლოზის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მთავარი სპეციალისტი.

30. **მამუჩაშვილი** გიორგი ისაკის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსი.

31. **ნანიტაშვილი** ბორის გრიგოლის-ძე — სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგე.

32. **ნასიძე** მიხეილ სოლომონის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის უფროსი ინჟინერი.

33. **ნასიძე** ბარბარე სოლომონის ასული — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის უფროსი ეკონომისტი.

34. **ობგაიძე** ნოდარ ნიკოლოზის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ქვეგანყოფილების უფროსი.

35. **ოქროპირიძე** თამარ გრიგოლის ასული — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსის მოადგილე.

36. **როგავა** კაპიტონ ბესარიონის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მთავარი სპეციალისტი.

37. **სანთელაძე** ნუგზარ ვარლამის-ძე — სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში.

38. **სამხარაძე** კარპე იაკობის-ძე — ჭიათურის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიის თავმჯდომარე.

39. **სერგეევა** ელენე ნიკოლოზის ასული — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის უფროსი მემანქანე.

40. **სიხარულიძე** ეკატერინე მოსეს ასული — აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს საგეგმო კომისიის უფროსი ინჟინერი.

41. **სულაბერიძე** გიორგი იაკობის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსი.

42. **სანაძე** ნიკოლოზ ლუკას-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსი.

43. **ფარესიშვილი** ირაკლი ზურაბის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსის მოადგილე.

44. **ფეოდოროვა** თამარ გრიგოლის ასული— აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

45. **ფეოდოროვა** ტატიანა ვასილის ასული — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის უფროსი ეკონომისტი.

46. **ქავთარაძე** მარგალიტა მიხეილის ასული — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის უფროსი ეკონომისტი.

47. **ჭარქაშაძე** თამარ სამუელის ასული — თერჯოლის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიის თავმჯდომარე.

48. **ქოთოლაშვილი** ივანე ნიკოლოზის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსი.

49. **ჭუჩულორია** ვიქტორ ვლადიმერის-ძე— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსი.

50. **ქუთათელაძე** მიხეილ პავლეს-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსი.

51. **ღარიბაშვილი** თამარ იოსების ასული — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის უფროსი ინჟინერი.

52. **ყორანაშვილი-ბურდული** ნაზი ვლადიმერის ასული — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის უფროსი ეკონომისტი.

53. **შავიშვილი** ლეონიდე ნიკიფორის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის უფროსი ინჟინერი.

54. **ჩარკვიანი** კანდიდ ნესტორის-ძე — სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგე.

55. **ჩიბლაშვილი** ნოდარ დავითის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების მოადგილე.

56. **ჩიხლაძე** ევგენია ალექსანდრეს ასული — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსის მოადგილე.

57. **ჩხეიძე** ავთანდილ ვარლამის-ძე — სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სექტორის გამგე.

58. **წილოსანი** გიორგი კალისტრატეს-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების მოადგილე.

59. **ჯოხაძე** ლამარა გრიგოლის ასული — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ქვეგანყოფილების უფროსი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1971 წლის 10 ოქტომბერი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ საკატიო წოდების მინიჭების შესახებ

დაგეგმვის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, სახელმწიფო საგეგმო ორგანოების შექმნის ორმოცდაათ წელთან დაკავშირებთან, მიენიჭოთ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის:

1. **აგუდოვს** ივანე ევერიანის-ძეს — სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროს ინჟინერ-ეკონომისტს.
2. **ავერინს** ალექსი რომანის-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის უფროს ინჟინერს.
3. **ასათიანს** ქეთევან ივანეს ასულს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის უფროს ინჟინერს.
4. **გაბარაევს** ელიზბარ კონსტანტინეს-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ინჟინერს.
5. **გრიცენკოს** ვალენტინა პეტრეს ასულს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მთავარ სპეციალისტს.
6. **გურევიჩს** ალექსანდრე მიხეილის-ძეს — სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროს ინჟინერ-ეკონომისტს.
7. **თვაურს** ნინო ვასილის ასულს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ინჟინერს.
8. **იგნატიევას** ნინო ივანეს ასულს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსის მოადგილეს.
9. **კვინიკაძეს** დიმიტრი იასონის-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მთავარ სპეციალისტს.
10. **კობახიძეს** ამირან თეიმურაზეს-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ინჟინერ-ეკონომისტს.
11. **ბაზეგოვეს** ალექსანდრეს ასულს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ინჟინერ-ეკონომისტს.
12. **ნასყიდაშვილს** სოფიო შოოს ასულს — სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საგეგმო კომისიის ინჟინერ-ეკონომისტს.
13. **ოძელს** ვახტანგ მიხეილის-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ინჟინერს.
14. **საცერაძეს** დავით სერგეის-ძეს— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის უფროს ინჟინერს.
15. **ტყეშელაშვილს** შოთა ირადიონის-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსის მოადგილეს.
16. **ღავთაძეს** ალექსანდრე მაღლაფაზის-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსს.
17. **ჩარგეიშვილს** ალექსანდრე მიხეილის-ძეს — სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-მუშაკს.
18. **ცანავას** სერგო ალექსანდრეს-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ინჟინერს.
19. **ცერეს** იდუარდ ლავრენტის-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსის მოადგილეს.
20. **ჯანდიერს** ანა ალექსანდრეს ასულს— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის უფროს ინჟინერს.

საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის:

1. **აბულაშვილს** ლიდა ალექსანდრეს ასულს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის უფროს ეკონომისტს.
2. **აფრადონიძეს** კონსტანტინე გიორგის-ძეს — ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საგეგმო კომისიის თავმჯდომარეს.
3. **ვარამაშვილს** ლიზა ნიკოლოზის ასულს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის უფროს ეკონომისტს.
4. **თოდუას** არჩილ ილიას-ძეს — ჩხოროწყუს რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიის თავმჯდომარეს.
5. **თოდუას** ვარლამ ილიას-ძეს — გეგეჭკორის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიის თავმჯდომარეს.
6. **თოთიბაძეს** ვალერიან რაჟდენის-ძეს — მახარაძის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიის თავმჯდომარეს.
7. **იარდალაშვილს** ვასილ გრიგოლის-ძეს — გორის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიის თავმჯდომარეს.
8. **კალმახელიძეს** პავლე გიორგის-ძეს — გორის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიის თავმჯდომარეს.
9. **კომახიძეს** ეთერ დავითის ასულს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსს.
10. **კრაპივას** ელენე ნიკოლოზის ასულს — აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს საგეგმო კომისიის განყოფილების გამგეს.
11. **ლომთაძეს** გიორგი დავითის-ძეს — ზუგდიდის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიის თავმჯდომარეს.
12. **მანაგაძეს** გრიგოლ სერგოს-ძეს — წულუკიძის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიის თავმჯდომარეს.
13. **მაცაბერიძეს** სოფიო მინეს ასულს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის უფროს ეკონომისტს.
14. **მირიმანოვს** გრიგოლ არტემის-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ეკონომისტს.
15. **მეტრეველს** დიმიტრი ფილიპეს-ძეს — პენსიონერს.
16. **მშვენიერაძეს** თინა გიორგის ასულს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის უფროს ეკონომისტს.
17. **ფვანიას** ალექსანდრე გრიგოლის-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსის მოადგილეს.
18. **ჟღენტს** გაბრიელ გიორგის-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ეკონომისტს.
19. **ქიქოძეს** გიორგი ქიტესას-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის უფროს ეკონომისტს.
20. **ჯოჯუას** შოთა იაკობის-ძეს — ფოთის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიის თავმჯდომარეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1971 წლის 10 ოქტომბერი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: საგეგმო ორგანოების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური სამეცნიერო სესიის მონაწილეთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან) საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ეკონომისტი მ. ლომმიძე, სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ეკონომისტი ს. მეგუაძე, თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ მთავარი ეკონომისტი მ. რევაზიშვილი, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე აკადემიკოსი ი. მიქელაძე და რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ეკონომისტი თ. ნაჯარაია.

ფოტო ბ. გოგოხიასი.

სტატისტიკა — დაგეგმვის საფუძველი

გ. ჟორჟიკაშვილი,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი, რესპუბლიკის დამსახურებული ეკონომისტი.

□

ᲓᲘᲓᲘ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მსოფლიო-ისტორიულმა გამარჯვებამ და ახალი საზოგადოებრივი წყობილების — საბჭოთა წყობილების წარმატებითმა მშენებლობამ მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ყველა საზოგადოებრივი მეცნიერების ყოველმხრივ განვითარებას სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკული გამოცდილების განზოგადების საზზე.

სოციალიზმის დროს სტატისტიკის ძირითადი ამოცანების ყოველმხრივი დახასიათება პირველად მოგვცა ვ. ი. ლენინმა სოციალისტური მშენებლობის პრობლემების დამუშავებასთან, საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიური საფუძვლების გარკვევასთან, გეგმიანი სოციალისტური ეკონომიკის შექმნის კონკრეტული ცდის შესწავლასთან დაკავშირებით.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ თავის პირველ გამოსვლებში ვ. ი. ლენინი მუდამ განმარტავდა, რომ ეკონომიურ სფეროში სოციალისტური რევოლუციის უმთავრესი ამოცანაა პროდუქტების გეგმაზომიერი წარმოებისა და განაწილების შექმნა, შრომის ახალი, კაპიტალიზმთან შედარებით უფრო მაღალი, ნაყოფიერების შექმნა. ამის მიღწევა, ხაზგასმით აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, შეიძლება მხოლოდ პროდუქტების წარმოებისა და განაწილების საყოველთაო-სახალხო აღრიცხვის და მაღალი კონტროლის ორგანიზაციის პირობით. „სოციალიზმი აღრიცხვაა“, ამბობდა ვლადიმერ ილიას-ძე და მოუთითებდა: „აღრიცხვის ორგანიზაცია, კონტროლი უდიდეს საწარმოებზე, მთელი სახელმწიფო ეკონომიური მექანიზმის გადაქცევა ერთიან დიდ მანქანად, სამეურნეო ორგანიზმად, რომელიც იმუშავებს ისე, რომ ასეთი მილიონობით ადამიანები ხელმძღვანელობდნენ ერთი გეგმით, — აი ის გიგანტური ორგანიზაციული ამოცანა, რომელიც ჩვენ დაგვიკისრა“.

კაპიტალისტური საზოგადოების წარმოების ანარქიულ წესსა და ზვრილმესაკუთრულ სტიქიას საბჭოთა ხელისუფლებამ თავის პრაქტიკული საქმიანობის პირველივე ნაბიჯებიდან დაუპირისპირა გეგმიანი სოციალისტური ეკონომიკის უდავო უპირატესობანი.

1921 წლის დასაწყისში ლენინის დავრეტით დამტკიცებულ იქნა დებულება სახელმწიფო საგეგმო კომისიის შესახებ, რომელმაც განსაზღვრა, სახელმწიფო საგეგმო კომისიის ადგილი და როლი სახალხო მეურნეობის სახელმწიფო დაგეგმვის საერთო სისტემაში და მისი მუშაობის კონკრეტული პროგრამა.

ამრიგად, უკვე სახელმწიფო საბჭოთა სტატისტიკის ორგანიზაციის მომენტიდან განსაზღვრულ იქნა მისი რობორც სახალხო-სამეურნეო დაგეგმვის უნიშვნელოვანესი საშუალების ძირითადი ფუნქციე. გასული 50 წლის მანძილზე ძირითადი ფუნქციისადმი იყო დაქვემდებარებული სახელმწიფო სტატისტიკისა და საგეგმო ორგანოების ორგანიზაციული კავშირურთიერთობის ყველა ცვლილება, ამასთან მხედველობაში იყო მიღებული სტატისტიკური ბაზის ყველა ასპექტის შემდგომი სრულყოფა და მისი მაქსიმალურად შეგუება სახალხო-სამეურნეო დაგეგმვის საჭიროებებთან.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციაში მიღწეულმა დიდმა წარმატებებმა, ძირეულმა გარდატეხამ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციაში, რაც 1929 წელს დაისახა, ეკონომიკაში სოციალისტური ელემენტების გაძლიერებულმა განვითარებამ — ყოველივე ამან განსაზღვრა სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობაში დაგეგმვის როლის ზრდა და, როგორც ამის უშუალო შედეგი — სტატისტიკის მნიშვნელობის გაძლიერება. ამან კი აუცილებელი გახადა უაღრესად მჭიდრო კონტაქტი სტატისტიკურ და საგეგმო ორგანოებს შორის, მთელი სტატისტიკური მუშაობის დაქვემდებარება დაგეგმვის მოთხოვნებისადმი, სახელმწიფო სტატისტიკის — პირველ რიგში მიმდინარე სტატისტიკის მაქსიმალური ოპერატიულობა.

ცალკე უნდა აღინიშნოს მიმდინარე სტატისტიკის დაყენების მკვეთრი გაუმჯობესება, როგორც მაზვინებელების ნუსხისა და მათი მომცველობის მხრივ, ისე შესაბამისი ინფორმაციის მიღების ვადების დაჩქარების მხრივ. მმგმბმავმა ორგანოებმა მიიღეს საჭირო სტატისტიკური ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს საჭირო მოცულობით მიმდინარე და პერსპექტიული დაგეგმვის მოთხოვნილებებს. ამას უნდა დავძინოთ ისიც, რომ სახელმწიფო სტატისტიკის ყველა რგოლის მუშაკები, რომლებიც უშუალო მონაწილეობას იღებენ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის (სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკებისა) ძირითად მუშაობაში, უკვე გაერკვნენ სტატისტიკისათვის გეგმიანი მეურნეობის პირობებში წაყენებულ მოთხოვნათა სასიათში. ეს კი მცირე მნიშვნელობის ფაქტორი როდია სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოთა მუშაობის საჭირო მიმართულებით გარდაქმნის საქმეში.

სტატისტიკის სამუშაოთა მოცულობის გაფართოება და შემდგომი სრულყოფა, მისი მაქსიმალურად შესაბამება გეგმიანი ეკონომიკის საჭიროებებთან, სახელმწიფო სტატისტიკური ორგანოების ყველა რგოლის ყოველი ღონისძიებით განმტკიცება დაბეჯითებით მოითხოვდა არსებული ორგანიზაციული სტრუქტურის გადასინჯვას. ამან წინასწარ განსაზღვრა იმის აუცილებლობა, რომ სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოების მთელი სისტემა გამოყოფილიყო სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის შემადგენლობიდან, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო გარდაქმნილიყო დამოუკიდებელ ორგანოდ სსრ კავშირის მთავრობასთან, რაც კიდევაც განხორციელებულ იქნა 1948 წელს. შესაბამისი გარდაქმნები განხორციელდა ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში.

ჩვენს რესპუბლიკაში, მას შემდეგ რაც გაუქმებულ იქნა საქართ

ბულგარეთის დედაქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანზე დაიდგმება ვ. ი. ლენინის ძეგლი. ახლა ამ მოედანზე, რომელიც დიდ ბელადის სახელს ატარებს, სოფიელთათვის პროექტის გაცნობის მიზნით დგას ძეგლის ნატურალური სიდიდის თაბაშირის ასლი. ძეგლის შექმნაზე მუშაობენ საბჭოთა მოქანდაკე ა. კერგელი და ბულგარელი არქიტექტორი ჰ. ტაშევი. ძეგლი გაიხსნება 1971 წლის აპვისტოში.

სურათზე: ვ. ი. ლენინის ძეგლის სკულპტურული ახალი სოფიაში.
ფოტო ბტა-საკდესისა.

მსოფლიო მოითხოვს:

ხელები თორს ლაოსისაგან!

მსოფლიოს საზოგადოებრიობა მკაცრად გმობს ამერიკის შეერთებული შტატებისა და მათი მარიონეტების აგრესიის ახალ ესკალაციას ინდოჩინეთში და სოლიდარობას უცხადებს ვიეტნამელ, ლაოსელ და კამბოჯელ ხალხებს.

ვაშინგტონი. ამერიკა-საიგონის მზარდი აგრესია ლაოსში ამერიკის საზოგადოებრიობისა და კონგრესმენთა გულისწყრომას იწვევს.

ამერიკის აგრესიის გაფართოებამ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში, განაცხადა სენატორმა ჯ. მაკ-ჰოვერმა, „ნდობის კრიზისი" შექმნა ერთი მხრივ პრეზიდენტსა და მეორე მხრივ კონგრესსა და ქვეყანას შორის. კონგრესში გამართულ პრეს-კონფერენციაზე გამოსვლისას მან აღნიშნა, რომ მიუხედავად პრეზიდენტის 1968 წელს მოცემული დაპირებისა შეეწყვიტა ვიეტნამის ომი, განელილი ორი წლის განმავლობაში ომი არა თუ არ შემწყდარა კიდევ, გაფართოდა და „ინდოჩინეთის ომის" ხასიათი მიიღო.

40 კონგრესმენთა ჯგუფმა ოფიციალურად წამოაყენა „კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს, რომ ამერიკამ დაუყოვნებლივ შეწყვიტოს მონაწილეობა ლაოსის აგრესიაში და სამხედრო დახმარება საიგონის მარიონეტული ჯარებისადმი, რომელთა რიცხვი დღეისათვის ლაოსში 10 ათასს აღემატება.

რესპუბლიკელმა სენატორმა ჯავიტსმა წამოაყენა კანონპროექტი, რომელიც ზღუდავს პრეზიდენტის როგორც ამერიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის, უფლებას აწარმოოს ისეთი გამოუცხადებელი ომები, როგორიც მიმდინარეობს ვიეტნამში, ლაოსსა და კამბოჯაში.

ბონი. „პასუხისმგებლობა ინდოჩინეთში ომის ახალი გაფართოებისათვის ვაშინგტონს ეკისრება", — წერს დასავლეთ გერმანიის გაზეთი „ფრანკფურტერ რუნდშაუ". „არავითარი გამართლება", — ასეთი სათაურით ბეჭდავს სტატიას, ამერიკა-საიგონის აგრესიის შესახებ გაზეთი „ვესტფალიში რუნდშაუ". „მტკიცება, თითქოს ლაოსში შეჭრა ყოფილიყოს „დროით შეზღუდული ღონისძიება", შეიძლება დაიჯეროს მხოლოდ იმან, ვისაც სჯერა ამერიკის თავის მართლება", — წერს გაზეთი. კამბოჯის მაგალითი გვიჩვენებს, რომ ამ არგუმენტს არავითარი საფუძველი არა აქვს.

ტოკიო. ლაოსის ტერიტორიაზე საიგონის ჯარების შეჭრის ამერიკის ჯარების მხარდაჭერით გაფართოებამ ომის ხანძარი და ახლო ინდოჩინეთის მთელ ტერიტორიას, მიუთითებს იაპონიის გაზეთი „მაინიჩი". ამ დელი შეჭრა საორთხეს უქმნის ლაოსის ნეიტრალიტეტს და ძალს ატანს ჟენევის 1962 წლის შეთანხმებებს, რომლებიც ამ ქვეყნის ნეიტრალიტეტის გარანტიას იძლევიან". „შეზღუდულმა" ოპერაციებმა კამბოჯაში, ამერიკა-სამხრეთ ვიეტნამის „შეზღუდულმა" შეჭრამ ლაოსში — ყოველივე ამან გამოიწვია ინდოჩინეთის ომის ესკალაცია. (საკდესი).

ვაშინგტონი — დემოკრატები ემზადებიან

11 თებერვალი. (საკდესი). დემოკრატიული პარტიის ლიდერები პრეზიდენტის არჩევნებისათვის ემზადებიან. ეს არჩევნები 1972 წლის შემოდგომაზე მოეწყობა.

საარჩევნო კამპანიის გაშლის გეგმები გუშინ განიხილეს შეხვედრაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ დემოკრატიული პარტიის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე ლ. ო'ბრაიენი და კონგრესში პარტიის ლიდერები და დემოკრატებისაგან პრეზიდენტობის „პოტენციური" კანდიდატები.

შეხვედრას, როგორც ო'ბრაიენმა განაცხადა, დაესწრნენ წარმომადგენელთა პალატის სპიკერი ჯ. ალბერტი, სენატში დემოკრატიული უმრავლესობის ლიდერი მ. მენსფილდი, აგრეთვე სენატორები ე. მასკი, გ. ჰემფრი, ე. ჰიუზი, ფ. გარისი და გ. ჯექსონი, რომლებსაც ახლა პრეზიდენტობის კანდიდატებად ასახელებენ.

ამავე შეხვედრაზე განიხილეს დემოკრატიული პარტიის ტაქტიკა საარჩევნო კამპანიის დროს.

სანტიაგო — პრეზიდენტის პასუხი

11 თებერვალი. (საკდესი). ქვეყანაში პრესის სრული თავისუფლებაა, განაცხადა ჩილეს პრეზიდენტმა სალვადორ ალენდემ. „ჩილეს ახალი საზოგადოების მშენებლობაში, — თქვა მან, — პრესა, ისევე როგორც მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებანი, უადრესად დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს".

ჩილეს პრეზიდენტის ეს განცხადება აქ გადაეცა პრესისათვის როგორც პასუხი ამერიკის ქვეყნების პრესის ასოციაციის მონაწერებზე, თითქოს ქვეყანაში ზღუდავდნენ პრესის თავისუფლებას.

ლოს-ანჯელესი — მიწისძვრის ტრაგიკული შედეგები

11 თებერვალი. (საკდესი). 48 დაღუპული, ათასამდე დაშავებული, 17 უკვალოდ დაკარგული — ასეთია ტრაგიკული შედეგი მიწისძვრისა, რომელიც 9 თებერვალს მოხდა ლოს-ანჯელესში (კალიფორნიის შტატი). ხელისუფალნი აღნიშნავენ, რომ დაზოცილთა და დაშავებულთა რიცხვი ამოწურავი როდია, რადგან რამდენიმე დღე დასჭირდება ყველა ნანგრევის შემოწმებას და რაიონის ყველა მცხოვრების ადგილსამყოფელის დადგენას.

120 ათასი კაცი იძულებული იყო მიეტოვებინა სახლები ლოს-ანჯელესის გარეუბნში, რადგან შეიქმნა წყალსაცავის კაშხალის კარღვევის საფრთხე, რომელიც ქალაქს წყლით ამარაგებს. კაშხალის მიწის საფუძველს მიწისქვეშა ბიძგების ძალამ მოგლიჯა ბეტონის გარსი და წყალმა დაიწყო გრუნტის ყრილის წარეცხვა.

ყველაზე ტრაგიკული სანახაობაა დანგრეული საავადმყოფოს სამსართულიანი შენობა ლოს-ანჯელესის სან-ფერნანდოს გარეუბანში. ნანგრევებიდან უკვე ამოიღეს 27 გვამი. ძებნა გრძელდება. როგორც საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, პრაქტიკულად არ არის ბეტონის ნანგრევქვეშ გადარჩენილთა პოვნის იმედი.

მიწისძვრამ დაარღვია მთელი რაიონის ენერგომომარაგება, რაც თანდათანობით დაიწყეს გადამცემი ხაზების აღდგენა და განაახლეს დენის მიწოდება, ზოგიერთ ადგილას დაიწყო ხანძრები.

ჩაიკეტა მეტი წილი გზატკეცილები, რადგან ბევრ ადგილას გაჩნდა ასფალტის საფარის ფართო ბზარები და დაინგრა ხიდები.

წინასწარი არასრული გამოანგარიშებით, მატერიალური ზარალი რამდენიმე მილიარდ დოლარს აღწევს.

ლოს-ანჯელესის რაიონში გუშინ მთელი დღის განმავლობაში იგრძნობოდა ძლიერი „ნარჩენი" მიწისქვეშა ბიძგები. მეცნიერთა აზრით, ეს ბიძგები კიდევ გაგრძელდება.

ლონდონი — დრაკონული კანონპროექტი

11 თებერვალი. (საკდესი). სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ხელისუფალნი ემზადებიან კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგან ქვეყნის პოლიციური სახელმწიფოდ გადაქცევის გზაზე.

სამხრეთ აფრიკის გაზეთებმა გამოაქვეყნეს პუბლიკაციათა კანონის შესწორების პროექტი, რომელიც ფორსტერის მთავრობამ წამოაყენა. ამ კანონის თანახმად ხელისუფალთ შეუძლიათ აკრძალონ-არა მარტო გარკვეული წიგნების პუბლიკაცია და ფილმების დემონსტრაცია, არამედ მათი განხილვაც და მარტოოდენ მოხსენიებაც.

ნიუ-იორკი

„აპოლონ-14" დედამიწაზე

11 თებერვალი. (საკდესი). დამთავრდა ამერიკის „აპოლონ-14" კოსმოსური ხომალდის ფრენა. გუშინ ნოლ საათსა და 05 წუთზე მოსკოვის დროით ეკიპაჟის ნაკვეთური, რომელშიც იყვნენ კოსმონავტები ა. შეპარდი, ე. მიტჩელი და ს. რუსა, წყალზე დაეშვა წყნარ ოკეანეში სამაუს-ძენ-ჟულების სამხრეთით.

როცა ხომალდი დედამიწას უახლოვდებოდა, კალიფორნიაში მიწის ძვრის გამო რამდენიმე წუთით შეწყდა ინფორმაციის მიწოდება ჰავაის კუნძულების, გუამის კუნძულისა და ავსტრალიის სათვალთვალო სადგურებიდან.

ქალაქ ოკლენდის (ახალი ზელანდია) მცხოვრებნი 10-20 წამის განმავლობაში ხედავდნენ ეკიპაჟის ნაკვეთურის შესვლას დედამიწის ატმოსფეროს მკვრივ ფენებში.

ეკიპაჟის ნაკვეთური წყნარ ოკეანეზე დაეშვა ამ რაიონში მომლოდინე ვერტმფრინავმზიდ „ნიუ ორლეანიდან" 6 კილომეტრზე. წყალზე დაშვების რაიონში გადასხეს წყალმყვინთავები, რომლებმაც პონტონი მოაწყვეს ნაკვეთურის ქვეშ და სამუშაოდ მოამზადეს გასაბერი ნავები. კოსმონავტები რიგრიგობით ჩასხდნენ ნავში, საიდანაც აიყვანეს ვერტმფრინავზე და შემდეგ მიიყვანეს ვერტმფრინავმზიდის გემბანზე.

კოსმონავტები მაშინვე გადავიდნენ საკარანტინო ფურგონში, სადაც მათ ელოდნენ ექიმი და ტექნიკოსი.

10 დღე-ღამეს გაგრძელდა „აპოლონ-14" ხომალდის ფრენა. აქედან თითქმის ორი დღე კოსმონავტებმა მთვარის კაბინაში გაატარეს მთვარეზე. ისინი ორჯერ გავიდნენ მთვარის ზედაპირზე. კოსმონავტებმა მთვარეზე დადგეს სატელევიზიო კამერა, ანტენა, სხვადასხვა სამეცნიერო ხელსაწყო, შეაგროვეს მთვარის გრუნტის ნიმუშები, აიღეს გრუნტის სინჯები. კოსმონავტებმა გაიარეს თითქმის კილომეტრი დაჯდომის ადგილიდან კოუნის კრატერამდე.

ორივე გასვლის დროს, რაც დაახლოებით 9 საათს გაგრძელდა, კოსმონავტებმა მთვარეზე გაიარეს 2,7 კილომეტრი. კოსმონავტებმა მთვარეზე სულ დაპყეს 33 საათს.

• • •

სურათზე: „აპოლონ-14" ეკიპაჟი. (მარცხნიდან) ა. შეპარდი, ს. რუსა, ე. მიტჩელი.
ფოტო ტელევიზიისა
„ნიუსუიკიდან" (აშშ).

ვაშინგტონი — ომი ინდოჩინეთში

ინდოჩინეთში ომის ახალი გაფართოებისათვის ვაშინგტონს ეკისრება", — წერს დასავლეთ გერმანიის გაზეთი „ფრანკფურტერ რუნდშაუ". „არავითარი გამართლება", — ასეთი სათაურით ბეჭდავს სტატიას, ამერიკა-საიგონის აგრესიის შესახებ გაზეთი „ვესტფალიში რუნდშაუ", „მტკიცება, თითქოს ლაოსში შეჭრა ყოფილიყოს „დროით შეზღუდული ღონისძიება", შეიძლება დაიჯეროს მხოლოდ იმან, ვისაც სჯერა ამერიკის თავის მართლება", — წერს გაზეთი.

საქართველოს ამა-ბაზარი

„მერანი“ და „ივერია“

ჟუთაისი. (საკ. კორ.). ინფორმაციის საიმედოდ დაცვაშენახვის, ხოლო საჭიროების დროს მისი სწრაფად მოძებნისა და აღდგენის ავტომატურ ხელსაწყოებს ქმნიან ქუთაისელი კონსტრუქტორები, სპეციალისტები. მიკროფირზე გადატანილი ინფორმაციის მომძებნი ავტომატური მოწყობილობა, რომელსაც „მერანი“ უწოდეს, წუთში 250 ინფორმაციას ძებნის. მისი გამოყენება შეუძლია ყველა ორგანიზაციას, სადაც კი ინფორმაციისა და დოკუმენტების დიდი მოძრაობაა.

„მერანმა“ უკვე გაიარა სახელმწიფო გამოცდა, საუკეთესო შედეგები უჩვენა და იგი რეკომენდებულია სერიული წარმოებისათვის.

ახლა აქ მუშაობენ ტექნიკური დოკუმენტაციისათვის საინფორმაციო მომძებნი ხელსაწყოს შექმნაზე, რომელსაც „ივერია“ დაერქმევა.

იღბლიანი ბილეთებით

ცხინვალის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ნუშამ ბ. ხუხაშვილმა ამ დღეებში ქალაქის შემსახველ სალარაში წარადგინა საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1971 წლის პირველი გამოშვების ლატარიის ბილეთი № 161, სერია 39747, რომელსაც მოგებად ხვდა მსუბუქი ავტომანქანა „მოსკვიჩი“.

ამავე გამოშვების ლატარიის ბილეთით (№ 163, სერია 39004) მსუბუქი ავტომანქანა „ხაპოროჟეცი“ მოიგო ცხინვალის რაისაბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების მძღოლმა ვ. ქუმარიტოვმა.

ვ. მელქოეთი.

ბათუმი. (საკ. კორ.). დოსაფის ლატარიის მეორე გამოშვების იღბლიანი ბილეთი (№ 04, სერია 33621) შეხვდა ხელვაჩაურის რაიონის სალიბაურის ჩაის ფაბრიკის მესანძრეს თ. ჩამბას. მან ავტომანქანა „ხაპოროჟეცი“ მოიგო.

საიუბილეო საჩუქარი

ფილტელისტები „მზიური საქართველოს“

საქართველოს დეპეშათა სააგენტომ ფრიად სასარგებლო საქმე გააკეთა: რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გამოსცა რამდენიმე ფერადი ფოტოალბომი ქართული, რუსული და ინგლისური ტექსტებით — „საქართველოს ქებგლები“, „შაბილი“, „თბილისი“. ახლახან კი გამოსცა დიდი მოცულობის ფერადი ფოტოალბომი „მზიური საქართველო“ (ტექსტის ავტორი და შემდგენელია ვ. ჭიაურელი, მხატვარი კ. ორლოვი, ფოტორედაქტორი ი. მღებრიშვილი).

ალბომში სამ ენაზე (ქართული, რუსული, ინგლისური) დაბეჭდილი ტექსტი მოკლედ, მაგრამ ცოცხლად და საინტერესოდ აგვიწერს საქართველოს ბუნებას, ბავშვ, ფლორას, ფაუნას, ფიზიკურ-გეოგრაფიულ მხარეს, ქართველი ხალხის ისტორიას და მის უძველეს კულტურას, მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლებს.

მკითხველი გაეცნობა, რომ საბჭოთა საქართველოს ტერიტორია სულ 69,5 ათას კვადრატული კილომეტრია, რომ ჩვენი მიწის წიაღში უხვად მოიპოვება თითქმის ყველა სახის მთამადნეული და სხვა ბუნებრივი სიმდიდრე.

ტექსტში გაეცნობით საინტერესო ციფრებს მეცნიერების, კულტურის, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის აღორძინება-განვითარების შესახებ.

„მზიური საქართველოს“ ფურცლებზე თვალნათლივ დაინახავთ ჩვენი რესპუბლიკის რაიონებს, ქალაქებს, სოფლებს, იმ მიღწევებს, რაც მოპოვებული აქვს საქართველოს ხალხს თავისი სასახელო შრომით. ყოველივე ეს წარმოდგენილია მშვენიერი ფერადი ფოტოებით, რომელთა ავტორები არიან ს. ბლოხინი, გ. გერასამია, ი. დავითაშვილი, გ. დადვაძე, ი. ფვალი, გ. კიკვაძე, ს. მამასახლისი, ა. მაჰავარიანი, ი. მღებრიშვილი, ე. პესოვი, ლ. პორტერი, ა. საპაოვი, ო. თურქია და ი. ჭოხონელიძე, ალბომის ყდას ამშვენებს კ. გურულის ჭედურობა.

ფოტოალბომი „მზიური საქართველო“ საუკეთესო საიუბილეო საჩუქარია.



ს. ნაციაშვილი,
თბილისის სამხატვრო აკადემიის დოცენტი.

კლდის ვეფხვის ხსოვნა

მემორიალური დაფა „შხელდაში“
ამანათი ლონდონიდან

ალაურ ბანაკ „შხელდას“ ცენტრში, რომელიც ცენტრალური კავკასიონის ორ ხეობას შორის გამოლია, კლდეს მოწყვეტილი უხარმაზარი ლოდი დევს. აი სწორედ ამ ლოდის წინ გამწკრივდებიან ხოლმე ყოველ ღილით ბანაკში მყოფნი და „კლდის ვეფხვის“ ხსოვნას წუთიერი დუმილით აღნიშნავენ.

...მდუმარე ბანაკის წინ დგას ბანაკის სასწავლო ნაწილის უფროსი საბჭოთა ალპინიზმის ვეტერანი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ვლადიმერ კიზელი და კითხულობს ბრძანებას — გამჩრენილი ქართველი სპორტსმენის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის, ალპინიზმსა და კლდეზე ცოცვაში ძრავალგზის ჩემპიონის, ამ ბანაკის ყოფილი ინსტრუქტორის **მიხეილ ხერგიანის ნათელი ხსოვნის უკვდავსაყოფად კლდის ლოდში ჩაიდგას უფანგავი ფოლადის მემორიალური დაფა სათანადო წარწერით.**

გაისმის დაღუპული მეგობრის ხსოვნისადმი ვლადიმერ ვისოცკის მიერ შექმნილი „შენ მიდიხარ ქარაფის პირას“, სიზეიმო მარშით ჩაივლიან ალპინისტთა კოლონები მემორიალური დაფის წინ, მუხლს მოყრიან და ფოლადის მემორიალურ დაფას ყვავილებით ამკობენ. აქვე არიან მიშას მახლობლები — მამა, დები, ძმა. ხერგიანებმა პირდაპირ ბეჩის ულელტეხილი გადმოლახეს სვანეთიდან და შხელდაში ჩამოვიდნენ.

საღამოს ალპინისტების საზეიმო კრებაზე მოგონებებით გამოვიდნენ სსრ კავშირის ალპინისტთა ფედერაციის თავმჯდომარე, სპორტის დამსახურებული ოსტატი ალექსანდრე ბოროვიკოვი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი შაქირ ტენიშევი, სპორტის ოსტატი გიორგი ჩიხლაძე და სხვები. სიყვარულით გაფორმებულ სტენდზე წარმოდგენილი იყო მიხეილ ხერგიანის ცხოვრებისა და სპორტული მოღვაწეობის ამსახველი ძასალები. ბოლოს უჩვენეს ეური ბურლაკოვის მიერ გადაღებული ფილმი „კლდის ვეფხვი“, რომელმაც შარმან თბილისის კინოფესტივალზე პირველი პრიზი მოიპოვა.

ამას წინათ ალპინიზმის საკავშირო ფედერაციაში ამანათი მოვიდა ლონდონიდან, მასში აღმოჩნდა ალპინისტთა ერთ-ერთი უძველესი კლუბის — დიდი ბრიტანეთის ალპური კლუბის ჟურნალი, სადაც მოთავსებულია მიხეილ ხერგიანისადმი მიძღვნილი წერილი, რომლის ავტორია ცნობილი თანამედროვე ალპინისტი ლორდ ჯონ ჰანტი, რომელმაც შერპ თენსინგთან ერთად დაიპყრო პლანეტის სიმაღლის პოლუსი — ჯომოლუნგმა.

ქვემოთ გთავაზობთ ჯ. ჰანტის წერილს:

საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებულ ოსტატს მიხეილ ხერგიანს, მის გულითად მეგობარ ოსიებ კახიანთან ერთად პირველად შევხვდი იალბუზის ძირას, ადილ სუს ხეობის საწვრთნელ ბანაკ „სპარტაკში“ 1958 წელს. მშვენიერი გარეგნობის, ჩასკვნილ, მეგობრული გრძნობით გამჭვალულ პიროვნებაში მყისვე შეეცანი ტიპიური ქართველი, ჭეშმარიტად კაცური კაცი. მე და ჩემი მეგობარი მთელი 10 დღის მანძილზე სატკბობით ვეხოვრობდით ამ შესანიშნავ წყვილთან, ამ ხნის განმავლობაში ავვიდით კავკასიისა და შუროვსკის პიკზე, ქარბუქის გამო მთელი სამი დაუვიწყარი დღე ერთად გავატარეთ „უშბის“ ბალიშზე“ მისი ჩრდილო მწვერვალიდან 1000 ფუტის ქვემოთ.

მიხეილი და იოსები სვანეთიდან იყვნენ — რძისა და თაფლის, თეთრი ღვინის კუთხიდან, ჩვენი ბანაკის წინ აღმართული მთების გადაღმიდან. ზაფხულის თვეებში ისინი მუშაობდნენ მთამსვლელობის ინსტრუქტორებად. ჩვენი სტუმრობის დროს მიხეილი და იოსები გახდნენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონები. ჩინებული ასვლების გამო ისინი აირჩიეს საბჭოთა ჯგუფის წევრებად, რომლებიც უნდა შეერთებოდნენ ჩინელ მთამსვლელებს ევერესტის მწვერვალის ჩრდილოეთიდან დასაპყრობად, რის განხორციელებაც ხავარაუდევი იყო 1960 წლისათვის.

ოთხი წლის შემდეგ, როცა ჩვენ პამირში შევხვდით ერთმანეთს, მიხეილს უკვე მიეღწია კლდეზე ცოცვაში ჩემპიონის სანუკვარი ტიტულისათვის. ჩვენი მრავალი მთამსვლელი მოწმე გახდა იმ ძალისა და მოხერხებისა, რაც მიშამ გამოამჟღავნა, როცა იგი 1960 წელს ჩამოვიდა დიდ ბრიტანეთში საბჭოთა მთამსვლელების ჯგუფთან ერთად კავკასიონის ასვლებზე ჩვენს მონაწილეთა მიპატიჟებით. მე მაქვს მასთან ერთად ერთ-ერთ მაღალ მწვერვალზე გადაღებული სურათი. მაგრამ მან აქ, ჩვენს მაგ ადამიანებთან ერთად, კიდევ რამდენიმე ამაზე რთული ასვლა მოაწყო. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მან ბრიტანეთში ბევრი მეგობარი შეიძინა.

1962 წელს ჩვენ სიხარულით შევხვედით ერთმანეთს ბრიტანეთ-საბჭოთა კავშირის მთავარ ბანაკში პამირზე, პიკ გარმის ძირში. მიშა აქ ჩამოვიდა ახალი დიდებით მოსილი, რაც მან დამსახურა შუროვსკის პიკზე ჩრდილოეთიდან პირველად ასვლით. იგი იმისათვის ჩამოვიდა, რომ მონაწილეობა მიეღო საბჭოთა ალპინიზმის ისტორიაში ყველაზე რთულ ასვლაში — კომუნიზმის მკაცრი პიკის აღებაში. მიუხედავად ასეთი დიდებისა და სახელისა, იმათ, ვინც მას იცნობდა, კვლავ იგივე ძვირფასი მიშა ნახეს, კვლავ საყვარელი და უბრალო ადამიანი. მე მაქვს მისი იქ გადაღებული სურათი — ხელში უჭირავს თოფი და მოკლული კაკაბი, რომელიც ჩვენთვის მოეტანა.

მაშინ ჩვენ დავცილდით გარმის მწვერვალიდან დაშვების დროს უილფრიდ ნოისისა და რობინ სმიტის დაუკვეთი დამუშავრებულნი. 7 წლის შემდეგ კი მიშაც დაიღუპა სუ-ატბუზე მეექვსე კატეგორიის სირთულის მარმრუტით ასვლის დროს. ეს დიდი დანაკარგია ჩვენთვის. ყოველი ნაწილაკით იგი იყო ნამდვილი ვაჟკაცი, იგი იყო თენსინგი ვაჟკაცთა შორის“.

ასეთია ცნობილი თანამედროვე ალპინისტის აზრი ქართველი კლდის ვეფხვის შესახებ.

მაყვალა ოქროპირიძე.

სურათებზე: ზემოთ — დიდი ბრიტანეთის ალპური კლუბის უურნალის ფურცელი მიხეილ ხერგიანის სურათით; ქვემოთ — მემორიალური დაფა ალპურ ბანაკ „შხელდაში“.



სასამართლოს დარბაზიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ-ერთ ბიბლიოფილ-ი

საპენსიო საქმის მოსაგვარებლად სათანადო ცნობისათვის მოქალაქე გ. ჩომახაშვილი თბილისის ლენინის რაიონის პირველ პოლიკლინიკას ესტუმრა. მას აქ ღიმილით შეხვდა პოლიკლინიკის მთავარი ექიმის მოადგილე დურმიშხან გრიგოლის-ძე გაბუნია, რომელიც სულ რამდენიმე ხნის წინათ ადამიანის მკვლელობისათვის 10 წლით იჯდა ციხეში.

— ჩემო კარგო, ხომ კარგად იცი, საჭირო ცნობას რა უნდა? — მიმართა მოხუცს გაბუნიამ და თვალი თვალში გაუყარა — ისე ძნელია კაცმა რამეს მიალწიოო,— დაასკვნა, პასუხს ელოდა.

ცნობის მისაღებად დ. გაბუნიამ ჩომახაშვილს 100 მანეთი გამოართვა, მაგრამ მექრთამე მახეში გაება.

ლენინის რაიონის სახალხო სასამართლომ დამნაშავე დ. გ. გაბუნიას შვიდი წლით პატიმრობა მიუსაჯა.

სასამართლო პროცესის დროსაც ბოროტმოქმედს თავგამოდებით იცავდა ამავე პოლიკლინიკის მთავარი ექიმი გ. ეორეოელიანი, რისთვისაც იგი სასტიკად დაისაჯა.

ა. სხვაველი.

ბედი სპეკულანტისა...

მუქთახორობა, იოლი გზით ცხოვრება გაუტაცა რახიერ მისეილის ასულ ბინიაშვილს. იგი ხშირად მიემგზავრებოდა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში, ჩამოჰქონდა ძვირფასი საქონელი და თბილისში მამასისხლად ჰყიდდა.

მაგრამ გაქნილ სპეკულანტს კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. თბილისის კიროვის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკებმა დაიკავეს რ. ბინიაშვილი, რომელსაც აღმოაჩნდა სასპეკულაციოდ გამზადებული 2000 მანეთის სამრეწველო საქონელი და ნაღდი ფული 1500 მანეთი.

ე. თურმანიძე.

ერთ-ერთ ლიდერთან

გუშინდელ მატჩს თბილისის სპორტის სასახლეში მეტოქეთათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. კაუნასის „ეალეგირისი“ ისწრაფვოდა ლიდერთა სამეულში პოზიციის განმტკიცებისათვის, თბილისის „ბურევესტნიკს“ კი ჩემპიონატის ცხრილში მდგომარეობის გაუმჯობესება სურდა.

მატჩი მართლაც რომ უჩვეულოდ დაძაბული გამოდგა. მართალია, პირველ ათ წუთში თბილისელები ინარჩუნებდნენ მცირე უპირატესობას, მაგრამ მომდევნო ათ წუთში მათ ხელთ იგდეს უპირატესობა და მოიგეს ტაიმი 48:37.

სტუმრები მდგომარეობის გამოსწორებას მეორე ტაიმში ცდილობდნენ, ერთხანს ქულათა სხვაობა თითქმის მინიმუმამდე დაიყვანეს, მაგრამ ისევ ბოლო წუთებმა გადაწყვიტა მატჩის ბედი. „ბურევესტნიკის“ კალათბურთელებმა მოიგეს მატჩი 85:76. ყველაზე მეტი ქულა — 28 თბილისელებს მოუტანა პულავსკიმ.

ოლიმპიური კვირეული საპოროში

მოსკოვი თეთრი ოლიმპიადის დედაქალაქში — საპოროში (იაპონია) გრძელდება ოლიმპიური კვირეული.

ვაჟთა სათხილამურო ესტაფეტის შემდეგ შეჯიბრება ქალებს 3X5 კილომეტრზე. ჩვენი გუნდის შემადგენლობაში იყვნენ ნ. ფედოროვა, ა. ოლიუნინა და გ. კულაკოვა. სულ სტარტზე გამოვიდა 15 გუნდი. სამივე საბჭოთა მოთხილამურემ ჩინებულად გაიარა დისტანცია და პირველობა არავის დაუთმო, დრო — 49 წუთი და 11,5 წამი.

სათხილამურო ორჭიდელებმა ასპარეზობა თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომით დაიწყეს. აქ დაწინაურდა იაპონელი ხ. იტაგაკი, რომელმაც ორი ნახტომის ჯამით (81 და 78 მეტრი) 238,5 ქულა შეაგროვა, საბჭოთა მოთხილამურეებს შორის უკეთესი შედეგი აქვს ვ. რუსინო